



30 მარტი - 1 აპრილი, 1999 წ. № 24 (11 276) ფასი 40 თეთრი

საქართველოს სპორტი • „ლელო“ პრიზის გათავაზება

გაქვიანი იბრუნებს ბრალს

ჩვენი გაზეთის პრიზზე სამთო-სათხილამურო სპორტში შეგირდებ ადრე საკუთარი სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში შედიოდა და მსოფლიო მასშტაბის ყველაზე საპასუხისმგებლო ასპარეზობების წინა ეტაპად ითვლებოდა... ბაკურიანში თავს იყრიდნენ უძლიერესი მოთხილამურეები, ბევრს აქ მიუღია ზამთრის ოლიმპიადის თუ მსოფლიო პირველობის საგზაური.

ბაკურიანელებს ყველაფერი ეს კარგად ასოვიდა და სწორედ იქაური ვეტერანი სპორტსმენების, მწვრთნელების, დაბის საკრებულოს და მოსახლეობის მხარდაჭერით გადაწყდა „ლელოს“ პრიზის გათავაზება. ცხადია, ოდნეულ მასშტაბზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ დასაწყისისთვის, თუნდაც შიდა პირველობის დონეზე მისი ჩატარებაც კი, წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ასეც მოხდა, თუმცა, ერთნაირ და თქმულ დროს მისი გამართვა, უთოვლობის გამო, ვერ მოხერხდა და გადაიდა. მეორე თოვლი უხვად მოვიდა და გასულ პარასკევს ეს ასპარეზობა ჩატარდა. თანაც იგი პირველი ღონისძიებაა, რითაც „ბაკურიანობის“ პროგრამა დაიწყო. მეორე დღეს, შაბათს, გაიმართა სათხილამურო სპორტის გამორჩეული ქომალის, ბაკურიანის საკრებულოს თავმჯდომარის, ყველასათვის უსაფრთხო პირობებში ბესიკ ებრაძის სსიპის პრიზის გათავაზება, იმედე დღეს ისპარეზებს კობა წაქაძის შეგირდებმა ტრამპლინიდან ხტომაში, კვირას კი მასობრივმა შეგირდებმა დაამწყვდია „ბაკურიანობის“ დღესასწაული. აქ სტარტზე ყველა თაობის მოთხილამურეები

„გაქვიანი იბრუნებს ბრალს“

... რეგულარული უნიკალური მოვლენა იყო ფარიაკობაში. მან მეტეორული გაიქცა ქართული ფარიაკობის ცის კაბადონზე, თავისი მძლავრი მხრებით და ხელეძრებით რამდენიმე წლის განმავლობაში ღირსეულად ზიდა დიდი სპორტსმენის ტვირთი. ეს ტვირთი მას არ ამძიმებდა, რადგან ფარიაკობისთვის იყო დაბადებული. რეგულარული პირველმა საბჭოთა და მშენი მოფარიაკობებმა დალაშქრა მსოფლიოს ფარიაკობის უცნობი ბილიკები, პრეზიდენტად იარსაბრეზა უდიდეს საერთაშორისო ტურნირებში და „რკინის ქარტელის“ სახელი დაიმკვიდრა, - წერდა „ლელო“ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში.

აღბათ ასეთი აღიარება, რომელიც ბარე ათ სპორტსმენს გასწავდებოდა თავმოსაწონად, ბევრს აფიქრებინებს, რომ მას უპრობლემოდ, რომ იტყვიან, ვარდებით მოფენილი გზა უნდა გაეკლდო და დიდი მწვერვალისაკენ. მაგრამ, არა რეგულარული თვითდამკვიდრებისათვის ყრმობაშივე ბევრი იწვინა. და რომ იცოდეთ ვისგან? - მამისაგან, და ის მშობლისაგან, რომელიც ძველი ყაიდის კაცი იყო, ამდენად კარგად ჰქონდა შეგონებული, რომ „შვილი მტრად გაზარდეს და მიყვარდეს გამოგადგებაო“... არადა, მეცხრეკლასელები ბიჭს, აბა, რა უნდა ჰქონოდა „სამტრო“, როცა აუტს არაფერს სწავლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ვერაზე, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა, ის გაგრძობდა იყო თანატოლები. დღეს, რომ მოდურ სახელს კრიმინოლოგებს ვუწოდებთ. აღბათ ეს აფიქრებდა მშობელს, როცა დღის მკაცრი განრიგი დაუწყეს და მასში იყო ერთი „პუნქტი“ - საღამოს ზუსტად ცხრა საათზე, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ბიჭი შინ უნდა ყოფილიყო. სწორედ ამას აქცევდა დიდ ყურადღებას მამა და ლამის „რკინის კანონად“ აქცია ეს „პუნქტი“. არა, იმის თქმა არ შეიძლება, რომ მისთვის უცხო და მიუღებელი იყო რაიმე ჭაბუკური გატაცება, ვთქვათ, სპორტი. ამიტომაც არაფერი ჰქონია საწინააღმდეგო, როცა ვაჟმა ტანვარჯიშზე დაიწყო სიარული. პირველი წარმატებებიც მიუღწევია, მაგრამ ისევე სპორტის იქცა მამა-შვილს შორის განხეთქილების ვა-



იბ. მე-283.

ნაქრების მხრითელი გაღაღობა ღირსების მხარეების გოლო მანია!

ნაქრებს ახალი სისხლი სჭირდება და მ მხრითელს მკობა

ვიოხნავთ საქონარო პარალელის ფონზე


1995 წლის 10 სექტემბერს, თითქმის ყველა წამყვანი იტალიური გაზეთის პირველ გვერდზე უზარმაზარი ასოებით ერთი და იგივე სიტყვები ეწერა - „საკი, წადი!“ და რატომ, არ იკითხავთ? რა და, ჩვენს იტალიელ კოლეგებს ვერაფერი ეპატიებინათ წინა საღამოს საქართველოს ნაკრებთან... მინიმალური ანგარიშით გამარჯვება! დიახ, იქ, იტალიაში, ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადადგომის საკითხი არაშთამბეჭდავი გამარჯვების გამო დაიხსნა. ჩვენთან კი წაგების ტოლფასი (სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე) ფრეს შემდეგ, იგივეს მოთხოვნა, სრულიად საფუძვლიანად მიგვანჩნია. არა, საკი (მართლაც შესანიშნავი მწვრთნელი) ბოლოს და ბოლოს, თანამდებობიდან ქართველთა გამო არ გადამდგარა - როცა იტალიელები შინ ამხანაგურ მატჩში ბოსნიელებთან დამარცხდნენ, აი, ეს კი სენიორ არიგოს აღარ აპატიეს. ისე, რახან პარალელებს ვაგვლებთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ სლოვენია და ბოსნია, სულ რაღაც ათიოდ წლის წინათ, ერთ „მძურ კავშირში“ ცხოვრობდნენ, რასაც იუგოსლავია ერქვა. პოდა, ამ სლოვენელებს ერთადერთი ხეივანი გუნდი ჰყავდა - ლიუბლიანას „ოლიმპია“, რომელსაც იუგოსლავიის ჩემპიონატში ყოველთვის მოკრძალებული მიზნები ჰქონდა დასახული. ჩვენც გვახსოვს 70-80-იან წლებში ამ კლუბის „სიძლიერე“ - ლიუბლიანა ხომ თბილისის დამპობილებული ქალაქი გახლდათ და ჩვენი „დინამოც“ როგორც და რანაირადაც უნდოდა, ისე აბითურებდა „ოლიმპიას“. მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, ეს ადრე იყო (აი, ვლადიმერ გუცაევი რომ ბრწყინვდა, ოდნე, როგორც ფეხბურთელი). ახლა კი მხოლოდ იტალიისა და კიდევ კარგა სტუმარ ფეხბურთელთა არტუ მალადი კლასის წყალობით, კინაღამ საერთოდ ნოლზე დავრჩით. მაგრამ ევ არაფერი, ქართველები ხომ ოპტიმისტები ვართ - ჯერ კიდევ არის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი! თანაც, არც ის გვეჭრება მეტოქეებმა ერთმანეთში სულ ფრედ ითამაშონ და ქულები კარგონ - უბრალოდ, შინ მოვივებთ სამივე დარჩენილ შეხვედრას, სამი გასვლიდან ერთ ფრეს ვითამაშებთ და ორსაც მოვუგებთ! და იცით, რამდენი გაპოლის - 20 ქულა?! გასაგებია, რომ ბევრმა შეიძლება ეს ტკბილ სიხმრად მონათლოს, ანდა, მოახლოებულ საპირვე-

ბია ტუხაშვილი

ლაპრილო ხუმრობად, მაგრამ ფეხბურთში ხომ ყველაფერი ხდება? და ხომ შეიძლება ჩვენებაც შედლონ? რატომაცა არა, ოდნე თუ სათავეში ისევე ძველი ხელმძღვანელობა იქნება, მაშინ ოცნების უფლებაც არ უნდა გქონდეს. და თუ რატომ, შევეცდებით ქვემოთ ჩამოვყალიბოთ. ოდნე, ჯერ ის ვიკითხოთ:

შეიძლება თუ არა ჩვენთან მხრითელი კრიზისი?

აღბათ, შეიძლება, მით უმეტეს, ბატონ ვლადიმერ გუცაევისა. არა, ისე



ზაზა ჯანაშია

არავინ გავვიგოს, თითქოსდა, ამ წერილის უპირველესი მიზანი საქართველოს ნაკრების დღევანდელი თავადის განქიქება ან შეურაცხყოფა გახლდეს. უბრალოდ, ვიცი რომ გუცაევის დამოკიდებულება პრესისადმი (ასევე გახსნავეული მისი წინამორბედებისა), თავს უფლებას ვაძლევთ მისი 16-თვიანი მუშაობაზე საკუთარი პოზიცია ჩამოვყალიბოთ. აღბათ, ერთი პირველი, ერთნაირი ნაკრების სათავეში მოსვლის დღიდან რაც მან გააკეთა, ეს პრესასთან ჩინებული ურთიერთობის ჩამოყალიბება გახლდათ. და ეს მეტად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია - მასმედის თითქმის უმრავლესობის ერთობ მსურველ მხარდაჭერა გუცაევის ნამეტნ-

ვად დაეხმარა... საკუთარი ავტორიტეტის განმტკიცებაში ნაკრების წევრების წინაშე. რაღა თქმა უნდა, გუცაევი ხედვებოდა, რომ სულ სხვა იყო მუშაობა ახალგაზრდულ ნაკრებში (სადაც მან მართლაც ჩინებულ შედეგს მიაღწია) და სულ სხვა ქვეყნის უპირველეს გუნდში. გუნდში, რომელიც ალექსანდრე ჩივაძისა და დავით ყიფიანის დიდი მცდელობით საბოლოოდ ერთ მუშტად შეიკრა და ფეხბურთელთა კლასის (აი, სიმწიფისას რომ უახსიან) და მათი კლუბებში წარმატებული თამაშებიდან გამომდინარე უკვე მზად იყო მხოლოდ მაღალი მიზნებისათვის ერთნაირად გაგვიდგინა და ცხრა შესარჩევ ჯგუფიდან ერთერთ ყველაზე უსუსურესში მოხვდით. და გუცაევიც დაიწყო, დაიწყო პრესასთან ხშირი შეხვედრები და... ფეხბურთელთა გაუთავებელი კრიტიკით (ამაში ჩინებულად უნდა მხარი მისმა ერთერთმა თანამემყვემ სერგო კურტიავამაც). აი, ჩვენც გვთხოვდა ხოლმე ბატონი ვოვა - „მოდით, ნუ მოგერიდებთ, გააკრიტიკეთ ფეხბურთელები, თორემ ბევრს ისე აქვს თავში ავარდნილი, ნაკრების ინტერესები სულაც არ ანადგვლებსო...“

და მოხდა ის, რაც აქამდე ჩვენს ნაკრებში არ ყოფილა - გუნდი დაიყო ცალკეულ ბანაკებად, „ქალაქელებად“ და „სოფლებლებად“, „სტარტიკებად“ და „მოლოდობებად“. და როგორც საქმეა, როცა ამას საქვეყნოდ გუცაევის მარჯვენა ხელი, ბატონი სერგო კურტიავა ხმამაღლა აცხადებს? არა, შემდეგ ყველანი, ფეხბურთელებიც, ნაკრებისა თუ ფედერაციის ხელმძღვანელობაც ხმამაღლა ამტკიცებდა, რომ ასეთი რამ ნაკრებში არ ხდებოდა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია - შეუიარაღებელი თვალთვალ აშკარად სჩანდა, რომ ჩვენს ნაკრებში აღარ იყო ის ატმოსფერო, როგორც დავით ყიფიანის, გუნდებო, ალექსანდრე ჩივაძის დროს გახლდათ. ანდა, სადმე გინახიათ ასეთი დაუსრულებელი დაძაბულობა (თუ კონფლიქტური არა) ურთიერთობები ნაკრების მთავარი მწვრთნელსა და წამყვან ფეხბურთელებს შორის? ანდა, გუცაევის მოსვლის შემდეგ ჰქონდა კი ვინმეს გარანტია თავი წამყვან ფეხბურთელად ეგრძნობა (დამსახურების მიუხედავად)? თავად განსაჯეთ - გუცაევის ხელმძღვანელობით ჩატარებულ 12 შეხვედრაში ერთნაირი ნაკრების მისიური 41-მა ფეხბურთელმა მთირგო, აქედან 18 დებიუტანტი გახლდათ. თუმცა, ართიმეტიკას სჯობია თავი გაავანებოთ და ისევე

იბ. მე-3 მ.

ახალგაზრდული ნაკრები

საპართველო - სლოვენია 0:0

საქართველო: ქურაძე, რევიზივილი, ქანკვეტაძე, დავითიძე, მუჯირი (კაბიტანი), ღარსელია, რომაძე, მახვილაძე, წიტილიშვილი, აშვეთია, გემუზაშვილი. მთავარი მწვრთნელი: იმნაძე. სლოვენიის ნაკრები: ვემიჩი, სნოლი, მირტიჩი, სანკოვიჩი, ტამიჩი, სვიტალიჩი, ველიკოვიჩი, სოლოვარი, გრიზოლი, შელი, ტრაკოვიჩი. მთავარი მწვრთნელი: პანიჩი.

სლოვენია - ალბანეთის მამრი გადამიღო

ბალკანეთში შექმნილი მძიმე ვითარების გამო „ევრო-2000“-ის შესარჩევ ტურნირში ჩვენს ქვეყანაში მოსაპარეზე სლოვენია-ალბანეთის მატჩი 31 მარტს არ გაიმართა. ნავარაუდევია ეს შეხვედრა ჩატარდეს 17-18 აგვისტოს.

ქართულმა პოპულარულმა თაქვალეით იბრაჰიმის, მამრი მოიგან, მამრამ მოხაგის ზღვარი გაღაღობა და რიკი (იბ. მე-4 მ.)

„არსენალი“ (თბილისი) - „გორდა“ (რუსთავი) 1-0

არსენალი: ჩოხაძე, ცოტაძე, ლ. ცხაძე, ჩიქოვანი, გველსიანი, ყოლბაია (კვიციანი, 74), ზირაქიშვილი (მენთეშვილი, 68), ხოსროშვილი, აბაზაძე, კახაშვილი, ტარიელაშვილი. გორდა: ქორიძე, კველამეილი, ბეჭაური, ჩიგვიშვილი, სიღამონიძე, მელიძე, ზირაქიძე, ალაღაშვილი, ბერიძე, კიტეშვილი (სიმონიშვილი, 70), მიშველიძე. გოლი: ტარიელაშვილი (64). მსჯე: ოთარ გუნთიაძე (ლანჩხუთი).



ავლბარში, „ისინი“ სტადიონზე გამართული მატჩი დიდი ვერაფერი სანახავე გამოდგა. ატალახებულ მიწაზე მოპაექრე გუნდებს ერთობ მცირერიცხოვანი მაყურებლის წინაშე მოუხდათ პაექრობა. მატჩის დებიუტში რუსთაველებმა გამოიღვეს თავი და რამდენიმე მწვავე იერიშიც მიიტანეს ჩლბიდის კარზე, მაგრამ დამამთავრებელ ფაზაში ხან თბილისელთა გოლიკმპერი ფიზიკურად, ხან კი რუსთაველები სოციალურად. სტუმართა აგრესიულობა მალე ჩაცხრა და თამაში გათანაბრდა, თუმცა „არსენალმა“ ასეთივე სასიფათო მომენტებით ვერ უპასუხა „გორდას“.

თაც კარგად ისარგებლა ტარიელაშვილმა და ახლო მანძილიდან სამი ქულის მომტანი გოლიც გაიტანა. რუსთაველები არ გატყდნენ, ძალა მოიკრიბეს და მედგრად შეუტყეს, ოდნე მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ „არსენალი“ საკუთარ კარს რამდენიმე წუთით მიაჯახვეს.

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. Header: დათო თავართქილაძე

„ეიტ-კორიას“ დაცული აქვს 3 ქულა

ნაკრების მხარეთმცოდნეობის გადარჩევა ღირსების შენარჩუნების გზაზეა!

(პირველი მხარეთმცოდნეობის)

ჩვენს უმთავრეს სატელევიზიო მიმდინარეობაში...

ნაწილი მხარეთმცოდნეობის

გავისხენით, გუცავეს დებიუტი - როგორ ეიფორიაში ჩავევარდით ყველა, როცა მაღალტელევიზიონური გავიშარჯვეთ.



მერაბი, ვის მოუვლეთ - მასწავლებლებს, ალბანელებს და ლატვიის მორე (!) შემაღლებლობას (თანაც, იგივე ალბანელების რეალური ძალა შარშან თბილისში ვნახეთ!) და დიდი, რაც დიდი - არიქა, ჩვენი მომგები გუნდი არ იქნებოდა. არადა, პირველი საგანგაშო სიგნალი უკვე მაშინ გაისმა, როცა გუცავემა მალტაში ნაკრების მასწავლებლებს კაპიტანი კახა ცხადაძემ არაფერი - უკლებლად არის და სათამაშო-პრაქტიკა აკლიათ (აქვე შედარებებიც უპირაინი იქნებოდა - გავისხენით თუ როგორ ვნახეთ 1995 წელს თბილისში ბულგარელებთან მატჩში იმ მომენტში ასევე სათამაშო პრაქტიკის არმქონე გოია ჯამარაშვილს, ანდა, თითქმის პეპატრიტიან (!) მურთაზ შელიას, ანდა, 1997 წელს „უემბლიზე“ დავით ყიფიანმა როგორ გარისკა და დაცვის ცენტრში იმ მომენტისთვის მართლაც ორ „ცალფეხას“ - იგივე შელიასა და ცხადაძეს რომ ანდო ადგილი). იმავე მაღალტელევიზიონის პირველსავე მატჩში ბევრისთვის შეუმჩნეველი არცთუ უმნიშვნელო ფაქტი მოხდა - ძმები არველაძეები პირველი ტაიმის შემდეგვე გამოცვალა გუცავემ. არა, შეცვლით ყველას ცვლიან, მაგრამ ტყუპები ხომ ტურნირზე მხოლოდ ერთი თამაშის ჩასატარებლად ჩამოვიდნენ და იმასაც რომ არასრულად გათამაშებენ, ცოტა გაუგებარია, რბილად რომ ვთქვათ. შემდეგ იყო ორი ფრე - ერთი ტუნისის არცთუ სუსტ ნაკრებთან და მეორე - თბილისში მართლაც მეტობრული შეხვედრა ასე მონატრებულ და დიდი ხნის უნახავ რუსეთის ნაკრებთან. ამ შეხვედრაში, ბევრისთვის მოულოდნელად, მინდორზე ვერ ვიხილეთ დღიდან დაარსებისა ჩვენების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე თემურ ქეცბაია - როგორც ოფიციალურად გაცხადდა, „ნიუკასლის“ ნახევარმცველი შეუძლოდ გამხდარა. არადა, არც მატჩის წინა დღეს კრწანისის რევიდენციაში გამართულ პრესკონფერენციაზე და არც მატჩის მეორე დღეს გახეთ „ალიას“ მიერ მოწყობილ ლაურეატთა დაჯილდოვებაზე ქეცბაიას ავადმყოფობის არაფერი ეტყობოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ქარავანი მიდიოდა და რაც მთავარია, წაგების სიმწარე რა იყო, გუცავეს ვერ არ ეწვინა. მაგრამ მოსახდენი უნდა მომხდარიყო და მოხდა - უკრაინამ, ისე რომ თავს უფლება მისცა 4-5 დებიუტანტი გაეჩინა, ოთხი უპასუხო ბურთი გაგვიტანა. თანაც, თვითმხილველების თქმით, მატჩი შეედო, მაგრამ - დავეინდეს... თუმცა, ამაზე კორინტი არავის დასცდენია - წინ ხომ სამი უმნიშვნელოვანესი მატჩი გველოდა - ალბანელებთან, ლატვიელებთან და ბერძნებთან. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ჩვენ ის სამივე თამაში წაგავით. მართალია, ალბანეთთან თამაშში სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში, მაგრამ მატჩის მსვლელობით ფრესაც არ ვიმსახურებდით (მოგებაზე ხომ არც ვფიქრობდით). და ისიც როგორ მოვიპოვეთ ასე ნატანჯი სამი ქულა - გოია ჯამარაშვილისა და გიორგი ქინქლაძის ინდივიდუალური თამაშისა და არნილ არველაძის გოლის აღრიცხვით. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ლამის გულშემატკივრებმა შეიყვანა შეცვლაზე (ხომ არ გეცნობათ ქინქლაძის გამოყვანა სლოვენელებთან), ისევე როგორც ზაზა ჯანაშია. იმავე ალბანელებთან მატჩში ფრიად საყურადღებო მომენტიც მოხდა - 54-ე წუთზე შეცვლილმა თემურ ქეცბაიამ დემონსტრაციულად მოისროლა მისი უნიკალური შემატკივრებისკენ. გუცავემა ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქცია, სამაგიეროდ, როდესაც ამ სტრიქონების ავტორი ქეცბაიას უკვე ნიუკასლის დაუკავშირდა, არ გამოიხილა, რომ ის მატჩის საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მისთვის შეიძლება უკანასკნელიც ყოფილიყო. მაგრამ ქეცბაია შემდეგ ორ მატჩსაც ჩაატარებს, ორივე ჩვენთვის უარყოფითი შედეგით რომ დამთავრდა.

აპროპოს ჩამოთვლის შესარჩევი მატჩი (II ჯგუფი) საქართველო - სლოვენია 1-1 (1-0)

საქართველო: გრიშაკაშვილი, კალაძე, ბალაშვილი, ჩხაიძე, წერეთელი, ალექსიძე (ქინქლაძე, 46), ნემსაძე, ჯამარაშვილი (გ. დარასელია, 83). კობიაშვილი, ზ. ჯანაშია, დემეტრაძე (ყაველაშვილი, 72).

სლოვენია: სიმეუნოვიჩი, ბულაჩიჩი, კარჩიჩი, მილანიჩი, კნაგსი, მილინოვიჩი, რუდონია (მიტრაკოვიჩი, 89), ჩეპი, უდოვიჩი (ანიმოვიჩი, 60), ზახოვიჩი, პავლინი (სტენიჩი, 77).

გოლები: ზ. ჯანაშია (43), კნაგსი (53).

გაფრთხილება: ბალაშვილი, მილანიჩი, მილინოვიჩი, პავლინი, რუდონია.

მსაჯი: ა. ჰამერი (ლუქსემბურგი)

ჩაატარებს და შემდეგ იტყვის ხმამაღლა - სანამ გუცავენი ნაკრებში იქნება, მე არ ვითამაშებო. აღარ გვინდა რიგა-ათენის სამარცხვინო მატჩები გავისხენოთ; არც ის, თუ როგორ აღმოჩნდა ტურისტების როლი თბილისის „დინამოს“ სამი ფეხბურთელი - ლევან ცვიტიშვილი, გივი დიდავა და გიორგი კინაძე, რომლებსაც არც სათამაშო პრაქტიკა აკლდათ იმ დროს და ნაკრების ზოგიერთ წევრებზეც უკეთესად თუ არა, უარესად ნამდვილად არ გამოიყურებოდნენ; აღარც იმას გავისხენებოთ, თუ როგორი ტაქტიკური სიახლე შესთავაზა გუცავემა იორდანესკუს, როცა თემურ ქეცბაიას... მიუღიო მარჯვენა ფლანგის გაკონტროლება დაევალა... მაგრამ, ისევე და ისევე პრესასთან ხშირი შეხვედრებით მოყვარულ გუცავეს ერთხელაც არ წამოსცდენია - „რადაცაა მწკრივების ბრალიც არისო“, პირიქით, როგორც სხვა შემთხვევაში, ყველაფერი ფეხბურთელებს, უფრო ზუსტად, მათ უგულო თამაშს ბრალდებოდა. ეგ კი არა, ერთობ არასასიამოვნო საზოგადოებრივი აზრიც კი შექმნა მისმა „გაუკაცურმა“ და „მატრიოტული სულისკვეთებით“ გამსჭვალულმა ინტერვიუებმა. ფრაზები გენეზი, სიამაღლობით: „სანამ მე ნაკრებში ვარ, უგულო ფეხბურთელს არ ვითამაშებ“, „ზოგიერთს ვარსკვლავური ავადმყოფობა შეჰყვია და ნაკრებში თამაშისა ვეხვება უფროსილდება“, „ჩემთვის მნიშვნელოვანია არა აქვს, რომელი კლუბი თამაშობს ესა თუ ის ფეხბურთელი ან რა დამსახურება ჰქონდა წინა“ და ასე შემდეგ. დიახ, დღეს ბევრი გულშემატკივარი, ალბათ, თვლის - ეს ქეცბაია რა ცუდი ბიჭია, გუცავეს გაუგებარა და პირადად ეროვნულს ამჯობინათ. ქეცბაია რა პიროვნებაა და თავისი ხალხი როგორ უყვარს, ყველაფერს თავი რომ დავიანებოთ, ეს კალიდან ლტოლვილებსაც უნდა კეთილხერ; მაგრამ ეს კიდევ არაფერი - საქართველოს ფეხბურთის ფადერაციის პრეზიდენტმა ბატონმა მერაბ ყორღანაშვილმა განაცხადა სახალხო: ინგლისში

ვიყავი და ქეცბაიასთან იქ ჩემი შეხვედრის შემდეგ, ამ თემაზე საუბარი ყველამ დაივიწყოსო. ესე იგი, კაცი თანახმა იყო ნაკრებში დაბრუნებაზე, ოღონდ, მთავარი მწკრივით ასე სულაც არ ფიქრობდა: „ამ ეტაპზე ქეცბაია ნაკრებს არ სჭირდება და როცა სჭირდებოდა ჩავიყვანო, მაშინ გამოვიძახებო“. ან კიდევ - „მაგის პოზიციაზე უკეთესი ფეხბურთელები გვეყავს და იმათ ვითამაშებოთ“. კი, მაგრამ, ბატონო ვოვა, გვანტერესებს, ვის გულისხმობდით? თუ მაინცდამაინც „ჩვენს საბაზო გუნდში“, „ალიანიაში“ უნდა თამაშობდეს, ნაკრებში რომ მოხვდეს (გულშემატკივრების ბოლომდროინდელი მწარესიმართლენარევი იუმორი)?

ან, საერთოდ, იმ ფაქტს როგორ უყურებთ, რომ ნაკრებში მოსვლის დღიდანვე არცთუ სასურველი ურთიერთობა ჩამოგთყალიბდებოდა ტყუპებთან, ცხადებდითან, შელიასთან, ქინქლაძესთან (ქეცბაიაზე აღარაფერს ვამბობთ), ანუ ფეხბურთელებთან, რომლებიც ნაკრების ბირთვის წარმომადგენლები (ორად ორი კაცი - ჯამარაშვილი და ნემსაძე არ ყოფილან შერისხულნი, ისიც, ალბათ, ჯერჯერობით)? ანდა, როგორ უნდა ახსნათ ის გარემოება, რომ ნაკრების კარს ყოველ თამაშში ახალი მესაქარე იცავს? რომ გვევლინა ყველა, არიქა, გვეშველა, ბოლოს და ბოლოს სტაბილური მექარე გამოჩნდაო, ნიკატონიძეს ვეულისხმობთ, თურმე შეცვლადრავართ - საქმარისი იყო ერთი იაღლიში და კარში უკვე დავით გვა-

იორდანესკუმ ბოლიში მოიხალა და... გადარდა

ნორვეგიელებთან შინ მარცხის შემდეგ ბერძენთა რუმინელი მწკრივითი იორდანესკუმ გადარდა. აი, მისი სიტყვები, რომელიც, ალბათ, ჩვენც უნდა გვეხსნოს: „ყველა, ვინც თამაშს წააგებს, მასზე უნდა აჯობოს. ამ წაგებით შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები, მიზერულზე ცოტა დაგვირჩა. ჩვენ გვექონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, ამიტომ ბოლიში ვხვდებით, მე ვარ მასზე უკეთესი. ამაში მარცხზე და დამნაშავე იმასი, რომ გუნდმა ვერ მოახერხა მარცხი. მარცხი დაკარგა. ალბათ გუნდისთვის უკეთესი იქნება ჩემი გადარდვა და ისიც აჯობებს, რომ უკვე შემდეგი მატჩი ნაკრებმა ჩემს გარეშე გამართოს.“

საბერძენის ნაკრებს დროებით მთავარ მწკრივულად „მანათიანის“ ყოფილი მწკრივითი ვასილის დანიელი დაუნიშნეს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის აგება

ზაგალო ფინალს იხსენებს

ტელევიზიით გამოსვლისას ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწკრივითი მარია ზაგალო შეეხრა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მატჩს ფრანგებთან, რომელიც მისი ფეხბურთელების გამანადგურებელი დამარცხებით დამთავრდა.

ზაგალომ (ახლა „პორტუგეზას“ მთავარი მწკრივითი) გაიხსენა, რომ ფრანგებთან მატჩის წინა დღეს რონალდოს გული შეუწყლდა: „მე ჩემს ოთხშაბათს ვისვენებდი, როცა ლერეანში ვიღებდით ვიროლი გაისმა: რონალდო კვდება“. ეს სადილის შემდეგ მოხდა, დაახლოებით 14,15. დასაწყისში მე ვიფიქრე, რომ ეს ხუმრობა იყო და მას ყურადღება არცკი მივაქციე, მაგრამ 17 საათზე გამოირკვა, რომ რონალდო მართლაც ძალიან ცუდად გახდა.

ზაგალომ აგრეთვე აღიარა, რომ მატჩის დღეს რონალდოს სრული სამედიცინო შემოწმება ჩატარდა კარდიოგრაფიისა და ენცეფალოგრაფიის ჩათვლით. ყოველივე ამის შემდეგ უარყოფითი იყო ამის მიუხედავად, ზაგალომ გაითვალისწინა რონალდოს თხოვნა და მას თამაშის ნება დართო, ამასთან, ვერც ალტერნატივას ხედავდა.

მარია ზაგალო დარწმუნებულია, რომ რონალდოს ყველა პრობლემის

მიზეზი იზოლაციაა, რომელშიც ეს ფეხბურთელი ბრაზილიიდან გამგზავრების შემდეგ იმყოფებოდა. მაშინ იგი თვდაპირველად ჰოლანდიაში თამაშობდა, ელჩინალისტებიც აწუხებდნენ და გულშემატკივრებიც. მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა ესპანეთში, სადაც რონალდოს შეეძლო პორტუგალიაშიც ელაპარაკა და ესპანურადც. ამასთან, იგი ყველგან და ყველგან უნდა ყურადღების ცენტრში იყო, ეს კი ძალზე ძნელია ახალგაზრდა კაცისათვის, რომელიც თანაგრძობასა და მზრუნველობას სჭიროებს.

ყოველივე ამის მიუხედავად, ზაგალო იმედი აქვს, რომ რონალდო



ზაგალოს რონალდოს იმედი კიდევ აქვს

„მელია პარტენისი“ არა თმობს

ამის მიუხედავად, რომ ცხარე კამათი ევროპული სუპერლიგის შექმნის შესახებ თითქმის ჩაქვრა, ეს იდეა კვლავ არსებობს.

თუმცა ევროპის წამყვანი კლუბებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ უფასო რეფორმებს საკლუბო ტურნირებში, სუპერლიგის ინიციატორმა, მარკეტინგულმა კომპანია „მელია პარტენისმა“ კვლავ წამოჭრა ამ შევიძრების ჩატარების საკითხი. „მელია პარტენისი“ პასუხს უფასვან 20 დღის განმავლობაში დელოდება, შემდეგ კი თვითონ იცის...

როგორც „მელია პარტენისმა“ განაცხადა, უფა და ინგლისის პრემიერლიგა უკანონოდ მოიქცნენ, როცა კლუბებს მასთან მოლაპარაკება აუკრძალეს.



პანდარაი

პანდარაი ლანსამბურგის გავრევი

მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ნაკრები სამხრეთ კორეისა და იაპონიის გუნდებს შეხვდება, ვანდერლენი ლუქსემბურგო ევროპაში გამგზავრებას აპირებს, რათა ის წამყვანი კლუბები მოინახულოს, სადაც მისი ფეხბურთელები თამაშობენ.

ევროპაში ბრაზილიის ნაკრების მწკრივითი „ბაიერს“ (ლევერკუზენი) ესტუმრება, სადაც ზე რობერტო და ემერსონი თამაშობენ. ესპანეთში იგი რობერტო კარლოსს, ეუნიონოსა და „ბრაზილიური ლეგიონის“ სხვა წარმომადგენლებს შეხვდება. ესპანური ტურნის დასასრულს ლუქსემბურგო ბარსელონაში ჩავა, რათა გაიგოს, როგორ თამაშობს ახლა ჯოვანი, და, ამასთან ერთად, რივალდოსაც ესაუბროს, რომელსაც ამ მომენტისათვის

ბრაზილიის N1 ფეხბურთელად თვლის.

ესპანეთის შემდეგ ლუქსემბურგო პორტუგალიაში ჩავა, იქ „პორტუს“ თვდაპირველი, ქვეყნის ჩემპიონატის უძლიერესი სწრაფი მარია ყარდელი ანტერესებს. მას შემდეგ, რაც საკმაოდ ხშირად მწკრივიდან გამოვიდა ბრაზილიის ნაკრების ცენტრფორვარდი, მიუნხენის „ბაიერის“ მოთამაშე ელგერ, მწკრივითი ეტებს მის შემცვლელს, რომელიც შეიძლება სწორედ ეარდელი გამოდგეს.

ტურნის დასკვნითი ეტაპი იტალიაში გაიმართება. ლუქსემბურგო შეხვდება იმ ბრაზილიელ ოსტატებს, რომლებიც „რომაში“, „მილანსა“, „ინტერსა“ და „უდინეზეში“ გამოდიან. რაც არ უნდა ვთქვათ, ზაგალოს არ იყო, ახალი მწკრივითი ნაკრების დასაყრდენს სწორედ იმ ფეხბურთელებში ხედავს, რომლებიც საზღვარგარეთ თამაშობენ.

„7 ანა? ანის ლიკილიაში“

ასე თვლის მადრიდის „რეალის“ ახალი მწკრივითი უელსელი ჯონ ტომპსი, ეს 7 ქულა კი ესპანეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზე მყოფ მადრიდელს ლიდერ „ბარსელონასაგან“ აშორებს.

მას შემდეგ, რაც სევილის „ბეტისთან“ დამარცხდა, ტომპსმა განაცხადა, რომ თუკი ზედმედ 4 მატჩს მოთვალს, „რეალი“ შეძლებს ჩემპიონობისათვის ბრძოლას. დაიწყო ეს შესვენებებიც და „სამეფო კლუბმა“ ზედმედ სამი მატჩი მოიგო, მეოთხეს იგი ერთ-ერთ აუტალიდრთან თამაშობს და გამარჯვება არც იქ არ უნდა გაუთვრდეს. ბრძოლა გრძელდება.

საზღვარგარეთის ფეხბურთის აგება

მსოფლიო ფეხბურთის ანგარიშები



სსსრ
მეორე
და
მესამე



საფრანგეთი - შვედეთი

- I ჯგუფი:** ბელარუსი - შვეიცარია 0-1; (გოლი ფურნიე, 72). დანია - იტალია 1-2 (ინძაგი, 1, სანი, 58; კონტე, 70). ლიდერობს იტალია - 9 ქ. უელსელებს ექვსი ქულა აქვთ, შვეიცარიას - 4, დანიას, 2, ბელარუსს - 1.
- II ჯგუფი:** საქართველო - სლოვენია 1-1 (ჯანაშია, 42; კნავი, 52); საბერძნეთი - ნორვეგია (სოლსკაიერი 38, 48). ლიდერობს ნორვეგია - 7 ქ. ლატვიას 6 ქულა აქვს, საბერძნეთს და სლოვენიას 5-5, საქართველოს - 4, ალბანეთს - 2.
- III ჯგუფი:** ჩრდ. ირლანდია - გერმანია 0-3 (ბოლე, 11, 32; მოროუ, 62 საკ. კარში); თურქეთი - მოლდოვა 2-0 (შუკური, 34, იალი, 90). ლიდერობს თურქეთი - 9, გერმანია - 6, ფინეთი - 6, ირლანდია - 4, მოლდოვა - 1.
- IV ჯგუფი:** ანდორა - ისლანდია 0-2 (სვერინსონი, 58, ადოლფსონი, 67); საფრანგეთი - უკრაინა 0-0; სომხეთი - რუსეთი 0-3 (კარპინი, 7, 63; ბესნასტინი, 89). უკრაინა - 10, საფრანგეთი - 8, ისლანდია - 8, სომხეთი - 4, რუსეთი - 3, ანდორა - 0.
- V ჯგუფი:** შვედეთი - ლუქსემბურგი 2-0 (მიოლბიუ, 35; ლარსონი, 87); ინგლისი - პოლონეთი 3-1 (სქოულზი 11, 23, 71; ბრუჟიევი, 33). შვედეთი - 9, ინგლისი - 7, პოლონეთი - 6, ბულგარეთი - 1, ლუქსემბურგი - 0.
- VI ჯგუფი:** ესპანეთი - ავსტრია 9-0 (რაული 5, 17, 48, 73; ურსასი, 29,45; იბრო, 35 ჰ.; ვეტლი, 76 საკ. კარში; ფრონი, 85); ისრაელი - კვიპროსი 3-0 (ბანინი, 11; მიზრაბი, 47, 53). კვიპროსი - 9, ისრაელი - 7, ავსტრია - 7, ესპანეთი - 6, სან-მარინო - 0.
- VII ჯგუფი:** პორტუგალია - აზერბაიჯანი 7-0 (საბინტუ, 28; უაო პინტუ, 36, 77; მალიერა 67; კონსეისაო, 75; პალუეტა, 82, 83); სლოვაკეთი - რუმინეთი 0-0. უნგრეთი - ლიტენშტეინი 5-0 (ე. სებოკი, 17; ვ. სებოკი, 33, 42, 86; ილესი, 74). პორტუგალია - 9, რუმინეთი - 7, სლოვაკეთი - 6, უნგრეთი - 4, ლიტენშტეინი - 3, აზერბაიჯანი - 0.
- IX ჯგუფი:** ჩეხეთი - ლიტვა 2-0 (პორნაკი, 10; ბერგერი, 74). ჩეხეთი - 12, შოტლანდია - 7, ლიტვა - 5, ესტონეთი - 4, ბოსნია - 4, ფარერები - 1. (შოტლანდია - ბოსნიის შეხვედრა გადაიდო).

ნომრიდან ნომრამდე
საბაზენტოები იწყებენ:

- „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი, ყოფილი ფეხბურთელი 41 წლის გრემ რიჭი სრულ ერთ წელიწადს გაატარებს ცინემი 15 წლის გოგონას გაუბატონებისთვის.
- ბადაწყობა, რომ კუბელი კერძო-რთლები მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ის პირველობის უმაღლეს ლიგაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის მთელი 40 წელიწადი სუფედა გათიშულობა, ეს ფაქტი ნამდვილ ღირსსასოვარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ერთმანეთზე გაბუტული ქვეყნების დაახლოებაში სპორტს მართლაც არაერთხელ შეუსრულებია კვლევა დაახლოების ფუნქცია.
- ზმრანის 1996 წლის ჩემპიონი, 34 წლის ფეხბურთელი მელმერი მიუნენის „ბაიერნიდან“ შეიძლება „მიუნენი 1860“-ში აღმოჩნდეს. ეს უკანასკნელი მზადაა ფეხბურთელთან კონტრაქტის გასაფორმებლად.
- იმის თაობაზე, თუ სად გაიმართება 2004 წლის ევროპის პირველობის ფინალური ეტაპი, უფეს სულ მალე უნდა გამოცხადდეს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა კიდევ სამი თვით გაინანგრძლივება. შეგახსენებთ, მასპინძლების კანდიდატები არიან: ესპანეთი, პორტუგალია და ავსტრია-უნგრეთი.
- 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონებს ფეხბურთში, თავისი ქვეყნის, ინგლისის მთავრობა ღირსეულად დააფასებს და საგანგებოდ დააჯილდოებს როგორც იცით, მაშინ ინგლისის ნაკრებმა გერმანელებს სძლია 4-2.
- ძველი ამბების გამო ციხეში კიდევ ერთხელ შეტყუებულ პროფესიულ მოკრეფს შეიძლება 12-თვიანი პატიმრობა შეუმპირონ და 4 თვით აღრე გაათავისუფლონ სატუსალოდან. მერიენდის სასამართლოს მიანია, ამით ისინი ტრანსონს გამოსწორების კიდევ ერთ შანსს მისცემენ.

სახალხო, გაშიშვლები, თუმცა, პირ ბავადით! საქართველო - გონა 28:27

ბ. პატიძის სახელობის ეროვნული სტადიონი.
28 მარტი. 30 ათასი მაჰყრებელი.

საქართველო: 15 აბაშიძე, 14 ურჯუაშვილი, 11 ხეხელაშვილი; 13 ხამაშურიძე, 12 მაისურაძე (16 ქათარაშვილი), 10 ჯიმშელაძე (17 მაჩიტაძე, 18 გიორგულიძე); 9 ჯანელიძე / 1 შველიძე, 2 გიორგაძე (22 ესაკია), 3 ცაბაძე (19 ნიკოლაძე); 4 რაფაგა, 5 პარჭიკანაშვილი (20 კობახიძე); 6. კაცაძე, 7 ლაბაძე (21 ლევაგა), 8 მჭედლიშვილი (კაპ) - ოთხი ლელო: ცაბაძე, ხეხელაშვილი, შველიძე, კობახიძე; გარდასახვა: ურჯუაშვილი; ორი საჯარიმო: ურჯუაშვილი და კობახიძე.

გონა: 15 ტაუმალოლო, 11 პადა, 14 ტიუეტი; 13 ტატაფუ, 12 ევუნბოლა (კაპ), 10 ვუული; 8 მარტენსი / 1 პენისინი, 2 ტაბაგა, 3 ფაღაბუ; 4 კიგალუ, 5 მამუ; 6 ტეპოუ, 7 კოლო, 8 ტოლოკ (16 მ. ვ. ვუნბოლა, 17 ლუტუ, 18 ტონგა, 19 ფაკაოსიფოლაუ, 20 ფატანი, 21 ედვარდსი, 22 მია) - ხუთი ლელო: ტიუეტი, ტაუმალოლო სამი, ლუტუ; გარდასახვა, ტაუმალოლო.

მსჯი დიდი მენე (საფრანგეთი). ქრონოლოგია: 5:0 (მე-7 წთ); 5:5 (13); 12:5 (22); 12:10 (39); ნახევარი (43); 12:17 (46); 12:22 (58); 15:22 (66); 15:27 (68); 20:27 (72); 25:27 (76); ჩხუბი და გაძევებანი (79); 28:27 (83).

ჩვენში რომ სპორტის გულშემატიკვარი ღირსეულ პატივს მიაგებს თავგამოდებულ, ვაჟკაცურ სპორტულ პაექრობას, არახალია, მაგრამ ძალიან სასიამოვნო იყო, როცა ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა ჩვენს ეროვნულ სტადიონზე საქართველოსა და ტონგას ეროვნული ნაკრებების მატჩში. ის, რაც მოხდა წინა დღეს იგივე სტადიონზე ფეხბურთელთა ნაკრებების შეხვედრის დამთავრების შემდეგ, მორაგბეთა ფინალისგან სრულიად განსხვავებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ტონგასთან ვერ შევძელით 32-ქულიანი ბარიერის გადალახვა და მატჩი მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით მოვიგეთ, 30 ათასმა მაყურებელმა ოვაციით გააცვილა ჩვენი ბრჯღალისგან გასახდელში. თუმცა, ეს გულთბილი მისალმება მეტოქესაც ეკუთვნოდა.

ქართველმა მორაგბებმა ყველაფერი იღონეს, თავი არ დაუზოგავთ, ხშირად თავდაუზოგავ რისკზეც მიდიოდნენ, მაგრამ, რაც შეძლებს მეტის გაკეთება არ შეეძლოთ და ამის მიზეზი არა მათ სუსტ თამაშში, არამედ ჩვენს საერთო გულგრილობასა და მათდამი უყურადღებობაში უნდა ვეძიოთ. თუ რას ვგულისხმობთ, ყველამ ჩინებულად იცის. მატჩი ჩვენებმა შემართებით დაინყეს და სტიმულის მომცემ სანადელსაც მიადნინეს, მაგრამ მეტოქემ მალე აულო ადლო ქართველთა ტაქტიკას, კარგად შეუხამა იგი თავის ამოცანას, რაც თანდათან გარდასახდა მათთვის თავდაჯერებულ თამაშში. უნდა ითქვას, რომ ტონგაელებმა ჩინებულად შეაფასეს მონინალმდგეის ფიზიკური შესაძლებლობებიც და ჭკვიანური კონტრილეთებით ახერხებდნენ სათავისო ტემპის შენარჩუნებას.

სამწუხაროა, ჩვენები რჩეულ ოცეულში ვეღარ მოხვედებიან იმიედისევე სამომავლოდ რჩება.

მ. ვუშუნავა

სამი პრეზენდენტი (ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა)

ინგლისის პირველობაზე ორკვირიანი შესვენება. თამაშები მხოლოდ შაბათს, სამ აპრილს განახლდება, როცა 31-ე ტური გაიმართება. ასპარეზობის დამთავრებამდე, 16 მაისამდე 12 ტური რჩება, წინ კი მეტად მწვავე ბრძოლა მოსალოდნელი.

ჩემპიონობის პრეტენდენტი, საყოველთაო აზრით, ახლა სამია: „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელსაც 30 თამაშის შემდეგ (18 მოგება, 9 ფრე, 3 წაგება, ბურთები 68-31) 63 ქულა აქვს, ლონდონის „არსენალი“ - 30 თამაშის შემდეგ (16 მოგება, 9 ფრე, 3 წაგება, ბურთები 42-13) 59 ქულით, ლონდონის „ჩელსი“ 29 მატჩის შემდეგ (15 მოგება, 11 ფრე, 3 წაგება, 44-23) 56 ქულით.

რა შეიძლება ითქვას დღეისათვის ამ გუნდების შესახებ?

„მანჩესტერ იუნაიტედი“ აქვს შესაძლებლობა მიადწიოს იმას, რაც დღემდე არც ერთ ინგლისურ კლუბს არ გაუკეთებია: ერთ სეზონში ქვეყნის ჩემპიონი გახდეს, ინგლისის თასიც მოიპოვოს და ჩემპიონთა თასიც. მართალია, როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, 1984 წელს „ლივერპულს“ სამი მიღწევა ჰქონდა: ჩემპიონთა თასიც მოიგო, ქვეყნის ჩემპიონიც გახდა და ლიგის თასსაც დაეუფლა. თუკი წელს „მანჩესტერმა“ სამივე მიზანს მიადწიოს, მაშინ მისი წარმატება „ლივერპულისაზე“ უკეთესი იქნება, რადგან ინგლისის თასის მოპოვება, ტრადიციულად, უფრო საპატიოდ ითვლება, ვიდრე ლიგის თასისა. თუმცა ჯერ სად არის!

როცა „მანჩესტერ იუნაიტედი“ წლებად წარმატებებზე ლაპარაკობენ, პირველ რიგში აღნიშნავენ თავდასხმელთა ბრწყინვალე დუეტს: ვინც კოულსა და დუიტი იორკს. ის შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ერიკ კანტონაც წავიდა და მარკ ჰუუზიც, მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს, უპირველეს ყოვლისა, თავდასხმის გაძლიერებაზე უნდა ვფიქრობდეთ.

რეზერვების უნდა ვფიქრობდეთ. ამიტომ მან სეზონის დასაწყისში 15 მილიონ დოლარად „ასტონ ვილასთან“ დუიტი იორკი შეიძინა. ამან „ჩელსის“ მოთამაშე მწვრთნელის ჯანლუკა ვიალის ირონიული რეაგირება გამოიწვია: „იორკის შექმნა კაპიტალის ცუდი დაბანდება იყო. ჩვენ 12 მილიონ დოლარად ოთხი პირველხარისხოვანი ფეხბურთელი შევიძინეთ, სხვებმა კი ამაზე მეტ ფასად... მხოლოდ ერთი“.

შემდეგ კი გაიკვია, რომ ფერგიუსონმა „კაპიტალი“ ძალიან კარგად დაბანდა. დასაწყისში იგი აპირებდა იორკი ნორვეგიელ ოლე-ჰუნას სოლსკიართან წყვილში გამოეყენებინა, მაგრამ ახალგაზრდა ნორვეგიელმა ვერ აუბა მხარი ტრინიდადელს. მაშინ მწვრთნელმა იორკს ვენდი კოულთან დაუწყო შეთამაშება. დასაწყისში აქაც თითქოს ბევრი არაფერი გამოიღო, მაგრამ შემდეგ ყნული გალდვა და თანაც, როგორ! იორკი კოულსისათვის, რომ იტყვიან, იდეალური პარტნიორი აღმოჩნდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 27 წლის კოული (იგი ნოტიუნგემში დაბადებული ზანგია) ინგლისის ნაკრებშიც კი მიიწვიეს. წელს, როგორც ერთი, ისე მეორე, ინგლისის პრემიერ-ლიგის №1 სნაიპერის წოდებისათვის იბრძვის, მათი ძირითადი მეტოქე კი ლივერპულელი ვუნდერკინდი მაიკ ოუნია. დუიტი იორკს (16 მატჩი ტრინიდადის ნაკრებში) ინგლისის ნაკრებთან, რომ იტყვიან, რა ხელი აქვს, მაგრამ თავის პარტნიორს მუდმივად ამხნევებს. „მე, რა თქმა უნდა, არაფერი უფლებს არ მქონდა შევადგებოდი გლენ ჰოდეს (ნაკრების აღრიხდელ მწვრთნელს), როცა კოულს არ იწვევდა, მაგრამ ეს ფეხბურთელი არც ისე მკაცრად უნდა გაეკრიტიკებინა“.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ახლა მართლაც ბრწყინვალედ არის დაკომპლექტებული. შესანიშნავად თამაშობს დანიელი მეკარე შმიხელი, გენბავთ

ძმები ნევილები, გენბავთ ბექემი, სქოულზი, ისიც ვთქვათ, რომ ლიდერს „გრძელი სკამი“ აქვს, ზოგ თამაშში შეუძლია არც კოული გამოიყვანოს და არც იორკი, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ლონდონის „არსენალის“ თამაში. აქ დიდი როლი შეასრულა ორმა გარემოებამ: ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ღენის ბერგაკამპის დაბრუნებამ და ფრანგ ჰაბუ ნიკოლა ანელკას სულ უფრო და უფრო შთაბეჭდილება თამაშში. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება



ანელკა №1 სნაიპერის წოდებისთვის დავაში ჩაერიოს. მოვლსმინით „არსენალის“ ფრანგ მწვრთნელს არსენ ვენგერს, რომელიც ინგლისში დიდი ავტორიტეტის სარგებლობს, „ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა, მაგრამ ჩვენ მოგვიხდება უკიდურესი ყურადღებით ვიყოთ, რა-

ღან ჩვენმა მთავარმა მეტოქეებმა ახლა დიდი ძალით დაიწყეს თამაში.

ჩემპიონობის მესამე პრეტენდენტი „მრავალეროვანი“ „ჩელსი“ გასლავთ. მართლაც, ვინ აღარ თამაშობს ჯანლუკა ვიალის გუნდში. ზოგ მატჩში იგი საერთოდ ინგლისელი ფეხბურთელების გარეშე გამოდის. ინგლისის ნაკრების მცველი ლე სო, წარმოიდგინეთ, ფრანგული წარმოშობისაა. კარს ჰოლანდიელი დე გუი იცავს, დაცვის ცენტრში გამოდის ფრანგი მსოფლიო ჩემპიონები დესაი და ლეზეფი, ახლა დი მატეო და ძოლა (ვიალიც საკმა-

სტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“ ინგლისის თასის მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს (პირველი შეხვედრა მანჩესტერში დასრულდა ფრედ 0-0, მეორე კი ლონდონში მოიგეს სტუმრებმა 2-0), მეორე მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე როგორც ალექს ფერგიუსონმა, ისე ჯანლუკა ვიალიმ განაცხადეს, რომ მათ პაექრობაში გაიმარჯვა... „არსენალმა“ იმითომ, რომ როგორც მანჩესტერელები, ისე „ჩელსის“ მოთამაშეები ძალიან დაილაღნენ, ზოგმა ტრავმა მიიღო, ზოგი დისკვალიფიცირებულია...

შეიძლება თუ არა ამ სამი, უძლიერესი კლუბის დავაში ვინმე ჩაერიოს? ძალიან საეჭვოა, თუმცა, ცხადია, ასე არ ეფიქრობს „ლიდს იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა. „ლიდსი“ ახლა მეოთხე ადგილზეა: 30 მატჩის შემდეგ 54 ქულა აქვს (15 მოგება, 9 ფრე, 6 წაგება, ბურთები 49-27).

რაც შეეხება სატურნირო ცხრილის „ფეკრს“, აქ საცხებით უიმედო მდგომარეობაშია ახლო წარსულში სახელოვანი „ნოტიუნგემ ფორესტ“ (20 ქულა). საკმაოდ მძიმეა „ჩარლტონის“ (28 ქულა), „საუთჰემპტონის“ (29), გენბავთ, „ბლუჰერის“ (30), „კოვენტრისა“ და „ვევრტონის“ (31-31 ქულა) მდგომარეობაც. რაც შეეხება თემურ ქეტაიას „ნიუკასლს“, მას 38 ქულა აქვს, მე-12 ადგილზეა და ყველა შემთხვევაში, პრემიერ-ლიგაში დარჩენა გარანტირებული აქვს.

ახლა უახლოესი შეხვედრების კალენდარს გადავხედოთ. 3 აპრილს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლონდონში უნდა ითამაშოს მეტად შეუპოვარ „უიმბლდონთან“, უკვე ორშაბათს, 5 აპრილს კი ასევე მტკიცე „დერბი ქაუნთის“ მიიღებს. „არსენალი“ ჯერ სტუმრად „საუთჰემპტონს“ ხვდება, 6 აპრილს კი (დაახლოებით) დანაწილდება, რაც ინგლისისათვის უჩვეულოა ლონდონში „ბლუჰერს“ თამაშება. „ჩელსი“ ჯერ სტუმრად „ჩარლტონს“ შეხვდება, 5 აპრილს კი მეტად მნიშვნელოვან მატჩში „ლიდს იუნაიტედს“ ეპაექრება.

მაშ ასე...

ბიმი თორბალ

306 შეარეებს „ბაიერსი“?

მიუნენის „ბაიერსი“ ერთერთ ძირითად პრობლემად მისი ვარსკვლავების მიერ ატენილი აყალბა და გაუტანლობა ითვლება ყოველთვის. ძველი ამბები რომ არ ვაგვისხნოთ, კლინსმანისა და მითუსის ურთიერთობაც სრულიად საკმარისი იქნება. ახლა მემბერ შოლის კაპიტანები, ექსცენტრული მარო ბასლერი, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მათ ვერც ოტო რეპაგელომ მოუარა და ვერც ჯოვანი ტრაპატონიმ აი 50 წლის ოტმარ მითამაშებთან და ჩააცხრა ნებბათა დღევა. ოტმარ მითცველს ესაუბრა ჟურნალ „კიკერის“ კორესპონდენტს.

● პირველად, ქულათა რა გუნსხევეებით მოიპოვეს „ბაიერსი“ ჩემპიონობა?

— პირველად უდავოდ მძაფრ ბრძოლაში ჩაივლიეს.

● დიას, მაგრამ „ბაიერსმა“ შორს ჩამოიტოვა მეტოქეები და სხვებზე უკეთესად თამაშობს.

— პირველ წრეშიც იყო პერიოდი, როცა ჩვენ მ ქულის განსხვავებით ვლიდერობდით, მაგრამ მოულოდნელად დაგვეწვია ლევერკუზენის „ბაიერსი“ და ერთ მომენტში გაგვისწორ კიდევ.

● რადღეში ჩაგვარდებით, თუკი „ბაიერსმა“ სათამაშო მექანიზმი მოიშლება და გუნდი ჩემპიონი ვერ გახდება?

— თუ ჩემპიონობას ვერ მოვიპოვებთ, ეს დიდი იმედგაცრუება იქნება, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ ძალიან კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ.

● ვინ შეაჩერებს „ბაიერსს“ თვით „ბაიერსი“?

— არა, ასეთი განცხადება ჩვენი კონკურენტების მიმართ არაკორექტული იქნებოდა. არის სხვა ამბებიც, ვთქვათ, ტრაგედიები.

● განასეთი შემაღვანელობის მქონე „ბაიერსს“ გაუძლევა ნებისმიერი მოთამაშის შეცვლა?

— შეტყუან შევანერგისა და ჯოვანე ელბერის შეცვლა შეუძლებელია. სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ პირველ წრეში კლუბის თამაშს. გარდა ამისა, „კიკერის“ კლასიფიკაციით ელბერი შედის „მსოფლიო კლასის“ კატეგორიაში, ეს კი უფრო მაღალია, ვიდრე „საერთაშორისო კლასი“. იგივე ეხება მეკარე ოლივერ კანს, რომელიც შეუცვლელია. ლოთარ მათეუსის თავისი დიდი საერთაშორისო გამოცდილებით წყალობით ძალიან დიდი სარგებლობა მოაქვს, თუმცა იქნის იერემის სახით მას კარგი შემცვლელი ჰყავს. ჩვენ კიდევ გვაყავს წამყვანი ფეხბურთელები, რომელთა დასახელება ახლა არ მინდა.

● რატომ?

— იმიტომ, რომ გუნდური სულისკვეთება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული მოთამაშის ღირსებები. ჩემპიონობის საკითხს ძველი პრინციპი გადაწყვეტს — ერთი ყველა სათვის და ყველა ერთისათვის.

● რომელ კლუბებს შეუძლიათ გაგიწიონ კონკურენცია?

— „ბაიერს“, „მიუნხენ-1860“-ს და „აიხერსლავტერს“-ს.

● ერთი იმ მცირერიცხოვან მწვრთნელთაგანი ხართ, ვინც შეძლო მიუნხენელი ვარსკვლავების ამოქმედება. გაგვანდეთ ამის საიდუმლო.

— აქ ნიუანსებია, ყველაფერს რომ წყვეტს.

● მაინც?

— ყველას თანაბარი უფლება და მოვალეობა აქვს.

● ფრანც ბეკენბაუერი თვლის, რომ მათეუსმა თვით უნდა გადაწყვიტოს, როდის თამაშებს და როდის არა. ასეა თუ არა?

— ეს საკითხი მწვრთნელის კომპეტენციაში შედის. არა მაქვს უფლება ვარსკვლავებისათვის რაიმე გამონაკლისი დავუშვა.

● იყავით თუ არა ბასლერის, ელბერისა და მათეუსის 10-10 ათასი მარტი დასჯის ინიცატორი?

— ეს ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი გახლავთ. „ბაიერსის“ მესვეურების დავალებას ვასრულებ და ამას ყველაფერს ვუმორჩილებ.

● აქვს ან არა მთლიონერების ასეთი თანხით დაჯარიმება?

— რა თქმა უნდა, ამას მოთამაშის რეპეტიცია მოჰყვება ხოლმე. გაფრთხილებასა და პატივებს შედეგი არ მოჰყვება. მწვრთნელი პრინციპული უნდა იყოს. იგი თანაბრად უნდა სცემდეს პატივს ყველა მოთამაშეს.

● „ბაიერსში“ ვინმესთვის ხომ არ გაიტაცდა ინტერესი მიცემა, როგორც ეს ლორტმუნდის „პორუსიაში“ გააკეთეთ რიკის მიმართ?

— ერთხელ ასე მოვიქციე, როცა ჩვენი თურქი ახალბედა ბერკანტ გიოქტანი ტელესტუდიაში აპირებდა წასვლას. ავუკრძალე ამის გაკეთება.

● აღინდობ ინტერესი „კიკერის“ კორესპონდენტთან „ექვსი გამოთქვით იმის გამო, რომ „ბაიერსში“ უკომფლიქტო სიტუაცია იქნებოდა. ახლა დაწინაურებული ხართ?

— დიას, პირველ წრეში ამ თვალსაზრისით დაწინაურებული ვიყავით. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავიდანვე ვარბიტებას მივაღწიეთ და ამ ფაქტორმაც იმოქმედა.

● არ გეშინიათ, რომ მარცხის შემთხვევაში ვითარება დიამეტრულად შეიცვლება?

— არ მეშინია იმ ქარისხლისა, რომელიც მარცხის შემთხვევაში შეიძლება პრესაში დაიწყოს.

● ზოგიერთი მოთამაშე რომ აჯანყდეს?

— არც ამისი მეშინია. ჩემთვის გუნდში სიმშვიდის შენარჩუნება პრობლემა არ არის. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოთამაშეები ჩემს წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს უფლებებს „ბაიერსში“ ყოველთვის დავიცავ.

● აღინდობ ინტერესი ხაზი გაუსვით იმას, რომ მოთამაშეებმა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება არ უნდა გააკრიტიკონ. იყო ასეთი შემთხვევები?

— არც ერთხელ არ ყოფილა.

● პირველი წრის შემდეგ ყველაფერი კარგად იყო.

— პირველ წრეში გამარჯვება ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. „ბაიერსს“ ოქროს მედლები უნდა მოეუპოვოს. სრულ კმაყოფილებას მხოლოდ გერმანიის ჩემპიონობა მოგვტანს.

● ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება?

— ჩემპიონთა ლიგა — ეს კლამბანია. მისი მოგება ხომ მსოფლიო სახელის მომტანია. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ იმ გუნდებს შორის, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში თამაშს აგრძელებენ, ზოგი რანგის თვალსაზრისით „ბაიერსს“ აღემატება.

● ვის გულიწამთ?

— „მანჩესტერ იუნაიტედს“, გამოცდილებით თვალსაზრისით, „იუვენტუსსა“.

● დიას, მაგრამ „ბაიერსი“ ხომ ჯგუფურ ტურნირში „მანჩესტერს“ არ ჩამორჩა.

— ტრანსფერული ღირებულების თვალსაზრისით „მანჩესტერ იუნაიტედი“ მაინც აღგვემატება.

● ძვირადღირებული ვარსკვლავები მაინც არ იძლევიან გამარჯვების გარანტიას.



— ეს ცხადი გახლავთ. კარგად ვიცით, რომ შეგვიძლია მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დამარცხება. ამდენად, ჩემპიონთა ლიგის მოგების შესაძლებლობაც გვაქვს.

● თქვენი ლოგიკით, იმისათვის, რომ ვეროპული ადგილი დავიკავოთ სუპერკლუბების რიგებში, „ბაიერსს“ სჭირდება ინვესტიციების დონის გაზრდა და მსოფლიო დონის ვარსკვლავების შექმნა.

— მომდევნო სეზონში სამიოთხი ასეთი მოთამაშე უნდა შევიძინოთ.

● მაინც, ვინ?

— ლაპარაკია ისეთ მოთამაშეებზე, რომლებსაც წინვლა ექნებათ და მსოფლიო კლასის მოთამაშეებად გაიზრდებიან.

● სად იყიდით თქვენ ასეთი მოთამაშეებს?

— ვეროპაში.

● მაინც?

— ზოგი ვინმე მყავს მხედველობაში. თუკი ახალ სეზონში გვიწავს ჩემპიონთა ლიგის მოგება, გერმანიის ჩემპიონობაც, მაშინ მსოფლიო კლასის მოთამაშეები აუცილებლად დაგვჭირდება.

● მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ „ბაიერსს“ მესვეურებმა არ მოისურვონ ასეთი თანხების დახარჯვა. თუ მათ მაინც მოუხდებათ დათმობა?

— როცა ვხედავ, რა ფული იხარ-

ჯვები ინვლისში, საფრანგეთსა და იტალიაში, ვშიშობ, გერმანიის ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა საზღვარგარეთ არ აღმოჩნდება.

● გუთნსმებით, მაგრამ თქვენს გუნდში გერმანიის ნაკრების 13 და სხვა ნაკრებების 5 მოთამაშეა. როგორი წარმატებით ხდენს ეს 18 ფეხბურთელი თქვენი გუნდების რეალიზაცია?

— პირველი წრის ბოლოსათვის „ბაიერსი“ თავისი შესაძლებლობების 80-85 პროცენტით თამაშობდა.

● რაღა გააკლიათ?

— თამაშის ორგანიზაცია უნდა გავუმჯობესოთ. მაღალი ტემპით თამაშისას კიდევ უფრო მეტი სისუსტე გვმართებს.

● მიადრწიეთ თუ არა რომელიღაც მომენტში თამაშის ისეთ დონეს, თქვენს იდეალს რომ შეესატყვისებოდა?

— ეს იყო „პანასთან“, „დუსისბურგთან“ და „ბაიერთან“. ტაქტიკური თვალსაზრისით ძალიან კარგად ვითამაშეთ, აქტიური პრესინგი გამოვიყენეთ. ასევე ძლიერად ვითამაშეთ მანჩესტერში, „ბარსელონასთან“ ოთხი ტაიმისა და სამი კარგად წარმართეთ.

● იქითკენ მიისწრაფოდით, რომ რაც შეიძლება მაღე გამოეგრეკიათ „ბაიერსის“ ძირითადი შემადგენლობა, შემდეგ კი ხშირად ცვლიდით მოთამაშეებს.

— დიას, ასეა. ცოტათი შევცვალე ჩემი ფილოსოფია.

● რატომ?

— სულ მაღე გახდა ნათელი, რომ მყავდა „გრძელი სკამის“ მქონე გუნდი. ამიტომაც მინდოდა იმის გაგება, როგორ შეუძლია გუნდს გარდაქმნა, სახის ცვლა.

● და თქვენ გაგიყვან კიდევ?

— დიას, სხვანიარად ხომ ლაპარაკი ეგოიზმზე და ვარსკვლავების კულტზე იქნებოდა.

● ვარსკვლავების კულტი ისე განუყოფელია „ბაიერსისაგან“, როგორც ბურთი ფეხბურთისაგან.

— მაგრამ ამას ისეთი ნეგატიური აზრით ნუ გავიგებთ, როცა თითოეუ-

ლი მოთამაშე თვლის, რომ მხოლოდ სახელიც კი სასტარტო შემადგენლობაში გამოსვლის გარანტიას იძლევა. ასეთი თვალსაზრისი ჩემთვის მიუღებელია.

● ესმით თუ არა მოთამაშეებს თქვენი?

— როცა მოთამაშე მოგებულ მატჩში მონაწილეობს, მისთვის ძნელია დაეთანხმოს ამ თვალსაზრისს.

● როგორც, ვთქვათ, მიხეილ ტარნატს, რომელიც ხშირად არის სათადარიგოთა შორის?

— აბსოლუტურად ყველას თანაწილად უფლებებიანობა არ არსებობს. არ შეიძლება ნაკრებების ყველა 18 ფეხბურთელი ერთდროულად მონაწილეობდეს თამაშში.

● მაგრამ აკარა გადახრებიც ხომ ხდება. ასე, მაგალითად, პასან სალი-პამაღვიში მნიშვნელოვანი გოლები გაიტანა მანჩესტერსა და ბარსელონაში, მაგრამ ბუნდესლიგის მომდევნო მატჩებში სათადარიგოთა შორის აღმოჩნდა.

— მოთამაშე, რომელმაც სალიპამაღვი შეცვალა, იმ მომენტში უფრო დასვენებული და ენერგიული იყო. იმ აზრისა ვარ, რომ ყველაფერი სპორტულ წარმატებას უნდა ემორჩილებოდეს.

● ძალზე უაპელაციოდ ექვრს.

— არა, რატომ. მოთამაშეს ყოვე-



ოტმარ მითცველი

ლთვის წინასწარ ვესაუბრები, ვუსსნი ხოლმე, რატომ არ გამოიყვან მატჩში. დასვენებულ მოთამაშეებს მეტი სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე იმას, ვინც მატჩისათვის მხოლოდ 80 პროცენტით არის მზად.

● რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობთ, როცა შემადგენლობაში ცვლილებებს ახდენთ?

— სამწვრთნელო ინტუიციით, თუმცა ეს ზოგჯერ ძალზე სარისკოა. მოჭადრაკეების ენით რომ ვთქვათ, მეფის პოზიციას ვაშიშვებ.

● როგორც, მაგალითად, ბერლინში მოხდა, სადაც „ბაიერსმა“ წააგო 0-1 „შტურტგარტის“ თქვენ ხომ ამ მატჩისათვის შტურტგარტის შეხვედრის შემდეგ 5 მოთამაშე შეცვალეთ. ხომ არ შეცვლარხართ?

— ვთვლი, რომ მაინც სწორად მოვიქციე. გამოცდილება ასეთი გადაწყვეტილებების მიღების უფლებას მადლეებს. ახალგაზრდა მწვრთნელს ეს უფრო გაუჭირდებოდა.

● ასევე პრინციპულად მოიქცით თომას ჰელმერთან მიმართებით. როგორ ფიქრობთ, სწორი იყავით, როცა გააფრთხილეთ, რომ მასთან კონტრაქტი აღარ გაგრძელდება?

— თავისთავად ცხადია, ეს კორექტული გადაწყვეტილება იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გართულებებთან გვექონოდა საქმე.

● სიტუაცია კვლავ შეიძლება გართულებდეს იმ შემთხვევაში, თუკი ჰელმერთი მთელი წრეში მეტად ძლიერად ითამაშებს. ამ შემთხვევაში იგი გუნდში ხომ არ დარჩება?

— გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ლაპარაკი მხოლოდ თამაშის ხარისხზე კი არ არის, არამედ გუნდის ასაკობრივი სტრუქტურის შეცვლაზე.

● მათეუსი 35 წლისაა. როგორც ერთხელ განაცხადეთ, მისი ბიოლოგიური საათი ხმას გვაგონებს.

— მათეუსის თამაშით პირველ წრეში კმაყოფილი ვარ. მისი მზადყოფნის მაღალი დონე პირდაპირ გაცხებას იწვევს.

● რას იტყვით მარო ბასლერის შესახებ?

— მისი კონტრაქტი წელიწადნახევრის შემდეგ თავდება. მას ამ ბოლო დროს სრულიად სამართლიანად აკრიტიკებდნენ, მაგრამ არ ვეთანხმები იმათ, ვინც ბასლერს სიზარმაცეში დებს ბრალს.

● ამით თქვენ მას მხარდაჭერას უცხადებთ.

— თუცა იგი ზამთრის არდადეგებიდან ისეთ მდგომარეობაში დაბრუნდა, რომ მაინცდამაინც სასურველი არ იყო, მაგრამ შემდეგ დამატებით ივარჯიშა.

● აიძულეს ეს გაეკეთებინა?

— შეიძლება იგი აიძულეს, მაგრამ ვუსურვებდი თვით გამოეჩინა მეტი ინიციატივა ხელფანების დახვეწის თვალსაზრისით. ასეთმა ნიჭიერმა მოთამაშემ უფრო მაღალ დონეს უნდა მიაღწიოს.

● უფრო იოლს ხდის თუ არა თქვენს მუშაობას ისეთი შესანიშნავი მენეჯერის მოდერნიზაცია, როგორც ული პონენსია, თუ პირიქით, ასეთ პირობებში უფრო ძნელდება გუნდის მართვა?

— ული პონენსის მთელი მოღვაწეობა კლუბისათვის მეტად სასარგებლოა. ამიტომ მას მხარი უნდა დავუჭიროთ. ულის დიდი გამოცდილება აქვს და უტყუარი ალღოც.

● შარშან აგვისტოში აცხადებდით, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოიშვებოდა, რამდენად შეეფერებოდათ „ბაიერსს“. ახლა უკვე ყველაფერი ცხადია?

— აქ კარგად ვგრძნობ თავს. ყველა დაინტერესებული პირი კმაყოფილია.

● მთამზადა ბიში თორმედა

საზღვარგარეთში უჩხუბრობის ამაგი

ზიკო ვაჩაიასის მწკრივი განხილვა

არტურ არტუნეს კომბრა, ანუ უბრალოდ, მთელ მსოფლიოში განთქმული ზიკო, დაინიშნა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად ვეტერანთა შორის. იენისში კი ფიფას ეგიდით ტრინიდადსა და ტობაგოში გაიმართება ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატი. მასში მონაწილეობას მიიღებენ ფეხბურთელები, რომლებსაც 35 წელი შეუსრულდათ.

წლისთვის შედგება „ჯგუფში“ მოხვდნენ საფრანგეთის, იტალიის, ბრაზილიისა და მასპინძლების გუნდები, „ჯგუფში“ — გერმანიის, ესპანეთის, აშშ-სა და ინგლისის ნაკრებები.

ზიკო აპირებს მიიწვიოს ნაკრებში ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან ჟუნიორი, ბრანკო, რივარო, რობა, პაულუ ვიტორი, კარეკა და ზებეტო.

ღებულების თანახმად ნაკრებებს ნება აქვთ მიიწვიონ ერთი ამ ასაკის უფრო ახალგაზრდა მოთამაშე.

ქანდაკის ბოლოვდა მიიყვანს...

იტალიის ჩემპიონატის უდიდესი მოლოდინელობაა მილანის „ინტერის“ სრული კაპიტი. ამ სეზონში კლუბს უკვე ვერარაფერი უშველის. რუმინელი მირჩა ლუჩესკუს ნაცვალ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება დაინიშნა ლუჩანო კასტელინი. იგი ერთხელ უკვე იყო ამ თანამდებობაზე, როცა 1996-97 წლების სეზონში გადადგა ინგლისელი მთავარი მწვრთნელი როი პოჯორნი.

კლუბის პრეზიდენტი მასიმიო მორატი სულაც არ იხსნის პასუხისმგებლობას: „პასუხი ამ ჩავარდნაზე შეუნდა გავცე, მთავარი ხომ ამ კლუბში მე ვარ. ახლა უნდა გავფრქვივინ გვაჩვენებს თავს, თითქოს თამაშობს, და ვინ თამაშობს მთელი სულითა და გულით“.

სილიკოვი - ნაკრების მწკრივი

ბულგარეთის ფეხბურთის ლეგენდა ხრისტო სტოიჩევი, რომელიც ახლაც ჩინებულად თამაშობს, საერთაშორისო განცხადებით, ზაფხულში მისი ამთავრებს ფეხბურთელის კარიერას.

ბულგარელი კომენტატორები ვარაუდობენ, რომ მის მისცემენ წინადადებას ბულგარეთის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში.

სინიზა მიხაილოვიჩი 8 გოლიან 7 საჯარიმოთი გაიჭანა

იმას, რასაც ამ სეზონში რომის „ლაციოში“ სინიზა მიხაილოვიჩი „სჩაღის“, თვით განთქმულ რონალდ კუმანსაც კი შეშურდებოდა. თვითონ განსაჯეთ — მან ამ სეზონში იტალიის ჩემპიონატში 8 გოლი გაიტანა, აქედან 7 საჯარიმო დარტყმით. ამ საჯარიმებს იუგოსლავიელი სულ სხვადასხვანაირად, მაგრამ ერთნაირი წარმატებით ასრულებს. ერთი სიტყვით, საჯარიმო მისი შესრულებით პირდაპირ 11-მეტრიანად იქცა...

რა დროს „პენსია“

● განთქმული ფეხბურთელი დეიან საიჩევიჩი „მილანში“ თამაშის შემდეგ მშობლიურ „ტრენა ზეზლას“ დაუბრუნდა. შესანიშნავად გამოიყურებოდა იუგოსლავიის პირველი ლიგის ბელგრადის მთავარი კლუბი „რადოს“ შემდგომში, და დიდად შეუწყო ხელი თავის გუნდს გამარჯვებაში — 3-1.

● მრავალწლიანი საზღვარგარეთული „ტურნეს“ შემდეგ სამშობლოში აგრეთვე დაბრუნდა უნგრელი ვარსკვლავი ლაიოშ დეტარი, ასევე ძალიან კარგად თამაშობს ბუდაპეშტის ბემცს-შემადგენლობაში. მისმა გოლმა გამარჯვება მოუტანა ბუდაპეშტელებს „დიეერ ეტოსთან“ მატჩში — 2-1.

მასაიქლავის ნინადავა პარაოლიკი

როგორც ფიფას პრეზიდენტმა ზებულატრმა განაცხადა, უარყოფილია იაპონიის და სამხრეთ კორეის ფედერაციების წინადადება მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში, რომელიც ისეთივე ფორმულია ჩატარდება, როგორც ეს შარშან საფრანგეთში იყო — მატჩების რაოდენობის გაზრდის შესახებ.

